დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**შპს "დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო  უნივერსიტეტის**

**საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“**

# პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

თბილისი

**2026**

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**მუხლი 1.ზოგადი დებულებები**

1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის მომზადებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირების დარეგულირება.

1.2. დოკუმენტის მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას. შეფასების პროცესის ადმინისტრირებას/მართვას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვება, აღრიცხვასა და შენახვის წესს.

**მუხლი 2. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა**

2.1 კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, როცა შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე.

2.2. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური,სანდო, ობიექტური/სამართლიანი, გამჭვირვალე:

✓ ვალიდურობა- განსაზღვრავს, შეფასების პროცედურით იზომება თუ არა ის, რისი შეფასებაც არის გამიზნული.შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება.

✓ სანდოობა -შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

✓ სამართლიანობა -გულისხმობს იმას, რომ შეფასების პროცედურა არის კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.

✓ გამჭვირვალობა- ნიშნავს იმას, რომ საჯაროდ ცნობილია წინასწარ შეფასების შესახებ დეტალური მონაცემები, როგორიცაა

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

შესაფასებელი კომპეტენციების სფეროები და ღონისძიების ჩატარების დრო,დადასტურების პირობები, მოთხოვნები.

**მუხლი 3. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომები**

3.1. შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან–„სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა“.

**მუხლი 4. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სახეები**

4.1. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

4.2. **განმავითარებელი შეფასება**

4.2.1. ინსტრუმენტი რომელიც გაზომავს მოდულების სწავლის შედეგების ათვისების ხარისხს და შემდგომი სწავლებისათვის არსებულ პოტენციალს. განმავითარებელი შეფასება ახდენს პროფესიული სტუდენტის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში. პროფესიულმა სტუდენტი გამოცდის საკუთარ კომპეტენციას, როგორც თეორიული ცოდნას, ისე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. განმავითარებელი შეფასება პროგრამის განხორციელების შეფასების ინსტრუმენტია და ეხმარება როგორც პროფესიულ სტუდენტს, ისე პროგრამის განმახორციელებელ პირს, უწყვეტი გადასინჯვის, შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ბაზას შექმნის.

4.2.2. განმავითარებელი შეფასების დროს მიღებული შედეგი მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო შეფასების შედეგზე.

4.2.3. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებასაც. პროფესიული სტუდენტები მოახდენენ საკუთარი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ხარისხის მონიტორინგს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირები მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღებენ ჩატარებული საქმიანობის უკუკავშირს, რათა მომავალში გაითვალისწინონ და გააუმჯობესონ სწავლების მიდგომები. ასევე, განმავითარებელი შეფასების პროცესი იქნება ერთგვარი მომზადება განმსაზღვრელი

შეფასებისათვის.

4.2.4. პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების პერიოდს, რაოდენობას და ქმნის შეფასების ინსტრუმენტებს.

**4.3. განმსაზღვრელი შეფასება**

4.3.1. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენება დიფერენცირებული შეფასების მიდგომა და თავისი არსით კონკრეტული სწავლის შედეგის ან სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაა.

4.3.2. განმსაზღვრელი შეფასებით დადასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა შედეგი. შეფასება უნდა იყოს კომპლექსური, შესაფასებელ პირს უნდა შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არა ცალკეულად, არამედ ურთიერთ კავშირში გამოყენება.

4.3.3. განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები ეფუძნება დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ორიენტირებულია კვალიფიკაციის მოთხოვნებზე.

4.3.4. განმსაზღვრელი შეფასების პროცესი დასტურდება შესაბამისინ შეფასების ფურცლ(ებ)ით დამტკიცებულებ(ებ)ით.

**მუხლი 5. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებები**

5.1. შეფასების მიმართულებებია: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა. აღნიშნულთაგან, პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, მაშინ, როდესაც გამოკითხვა უფრო თეორიული - კოგნიტური ცოდნის შესაფასებლადაა რელევანტური. თუმცა, პრაქტიკული უნარების შეფასებისას შესაძლებელია ინტეგრირებულად განხორციელდეს გარკვეული თეორიული ცოდნის შეფასებაც, რადგანაც პრაქტიკული უნარები ცოდნას ეფუძნება, თუმცა, იშვიათად იძლევა ცოდნის ფართო სპექტრის შეფასების შესაძლებლობას.

5.2. პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შემფასებელი აკვირდება შესაფასებელი პირის მუშაობას პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ სიმულაციის ოთახში, ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც შესაფასებელი პირი პრაქტიკული დავალებას ახორციელებს. შემფასებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი,

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს შესაფასებელი პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის (ჩეკლისტი), შესაფასებელ პირის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

5.3. პრაქტიკული დავალება -

პროფესიული სტუდენტის მიერ ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით შესრულებული დავალება/ნამუშევარი/პრეზენტაცია, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს და კომპეტენციას და რომლის დროსაც, შემფასებელი იყენებს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერს, ან ჩექლისთს.

5.4. გამოკითხვა- გამოკითხვა ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა შესაფასებელი პირის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა, სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. გამოკითხვა შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. ის აერთიანებს ყველა მიდგომას, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია აკადემიური უნარების შეფასება. მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იყოს, მაგალითად, შესაფასებელი პირის მიერ შევსებული ტესტი, ან ზეპირი გამოკითხვის შეფასების ფურცელი. წარმოდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

**მუხლი 6. შეფასების ინსტრუმენტები**

6.1 შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს სამ ეტაპს:

- მომზადება/შერჩევა
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება
- ვალიდაცია

6.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს .

6.3. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.

6.4. შეფასების ინსტრუმენტები უნდა იყოს, მუდმივად განახლებადი და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა გადაიხედოს მინიმუმ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.
6.5. მნიშვნელოვანია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაც უზრუნველყოფილს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის და საკმარისობის )დაცვას.

6.6. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა

6.6.1. დარგის/კვალიფიკაციის მიუხედავად, ყველა შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას: პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

„მოდულის შეფასების ფურცელში" გაწერილია: პროგრამის დასახელება; მოდულის დასახელება; სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები სრულად; დავალების შესრულების ინსტრუქცია (წერილობითი მოკლე აღწერა, ასევე რესურსი რომლის გამოყენებაც შეუძლია სტუდენტს დავალების შესასრულებლად) შეფასების მიმართულება; შესრულების სავალდებულო მტკიცებულება; შესრულების კრიტერიუმების დადასტურების პირობები და დადასტურების თარიღი; შეფასებისათვის განკუთვნილი დრო; ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, შემფასებელი, ინფორმაცია განმეორებითი/დამატებითი შეფასების შესაძლებლობისა და განმეორებითი/დამატებითი შეფასების შესახებ

**· შეფასების ფურცელი**

- მოდულის სახელწოდება - მიეთითება იმ მოდულის დასახელება, რომლის სწავლის შედეგების დადასტურებისთვისაც შეიქმნა მოცემული შეფასების ინსტრუმენტი;
- მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

- სწავლის შედეგ(ებ)ის ნომერი და დასახელება რომელთა სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურებისთვისაც შეიქმნა კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტი
- შეფასების თარიღი;
- ჯგუფის N;
- შესაფასებელი პირი;
- შესაფასებელი პირის პ/ნ;
- შემფასებელი;
- შესრულების დრო;
- გარემო (A,B,C);
- დამატებითი პირობები

- **შეფასების მეთოდი**
  - განმსაზღვრელი  შეფასება შესაძლებელია შედგებოდეს რამდენიმე მეთოდები:
  - ტესტირება(რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის წერილობით შეფასებას)
  - პრაქტიკული დავალებ(ებ)ის შესრულება
  - ინტერვიუ და სხვა

- **შეფასების მიმართულება -** მიეთითება შეფასების მიმართულებებიდან შესაბამისი
  - გამოკითხვა;
  - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;
  - პრაქტიკული დავალება -  როგორც შედეგი დავალება უნდა აღიწეროს მკაფიოდ და გასაგებ ენაზე;
  - შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემა - შეფასების ინსტრუმენტებს დავალებისათვის განსაზღვრული უნდა ჰქონდეს შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემა
  - სწავლის შედეგის  მიღწევის დადასტურების პირობები

- თითოეული შეფასების მიმართულებაში გათვალისწინებული დავალებისათვის ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ზღვარი, თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად;

• **შედეგი**

- აღნიშვნა: შედეგი დადასტურდა/ ვერ დადასტურდა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა;
- პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;
- სხვა სახის ინფორმაცია, ინსტრუმენტის საჭიროებიდან გამომდინარე/ სხვა დამატებითი მოთხოვნა ან პირობები, რაც ინდივიდუალურად განისაზღვრება კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის მიმართ

6.7. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენა ხდება შეფასების პროცესამდე, მინიმუმ 7 სამუშაო დღით ადრე, სასწავლო დეპარტამენტისთვის, რომელიც თავისმხრივ ახდენს ინსტრუმენტის ვალიდაციას - შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას; უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი;

6.8. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით;

6.9. ვალიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

**მუხლი 7. შეფასების მტკიცებულებები**

7.1. შეფასების მტკიცებულება არის დასტური იმისა, რომ შეფასების პროცესი შედგა და განხორციელდა მოთხოვნათა სრული დაცვით.

7.2. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს

მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი.

➢ მტკიცებულების საკმარისობა – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

➢ მტკიცებულების ვალიდურობა – ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავსიმას, რაც უნდა შეფასებულიყო.

➢ მტკიცებულების ავთენტურობა – მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.

➢ მტკიცებულების ტრანსფერულობა – მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას იმავე კრიტერიუმების შესაბამისად შეძლებს არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.

7.3. შეფასების უწყისები უვადოდ ინახება.

7.4. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

7.5. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული.

7.6. სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა

7.7. შეფასების უწყისის ფორმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დასახელება, მოდულის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი, სწავლის შედეგები და მისი დადასტურება/ვერ დადასტურების აღნიშვნა, შეფასების/განმეორებითი შეფასების თარიღები, მოწმდება სასწავლო დეპარტამენტის ბეჭდით.

7.8. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს სათანადო წესით შესანახად.

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**მუხლი 8. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება/ვერ დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

8.1. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
8.2. პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასება (ქულების დაწერა) ხორციელდება მოდულური პროგრამით გათვალისწინებულ შეფასებასთან ერთად, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით - 100 ქულიანი სისტემითაც (აღნიშნული შეეხება, როგორც დამტკიცებული ავტორიზებული პროგრამებით გათვალისწინებულ მოდულებს, ისე -საექთნო განათლების პროგრამის პარალელურად მიმდინარე დამატებით არჩევით (არასავალდებულო) კურაციას).
8.3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა - გამოიყენება რამოდენიმე კრიტერიუმი, რომელთა ხვედრითი წონა და მნიშვნელობა, დასადასტურებელი შედეგის შინაარსიდან გამომდინარე არგუმენტირებული პოზიციის, შემთხვევაში შესაძლოა განისაზღვროს პედაგოგის მიერ. აღნიშნული გულისხმობს შესაძლებლობას სტუდენტის მიერ რომელიმე კრიტერიუმის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პედაგოგის გადაწყვეტილებით, მოდული/შედეგი ჩაითვალოს დადასტურებულად. კრიტერიუმების ხვედრითი წონის შესახებ შესაძლებელია სტუდენტი არ იყოს ინფორმირებული, რათა თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ მაღალი ხვედრითი წონის მქონე საკითხების დასწავლა.
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
8.4. მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად უნდა დადებითად შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული; მოდულის ფარგლებში დადებითად ფასდება მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი და ენიჭება შესაბამისი კრედიტი. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ სწავლის შედეგში დადასტურებულ იქნას, შესრულების კრიტერიუმებში გამოყენებულ ინსტრუმენტის (ერთზე მეტი შეფასების ინსტრუმენტის შემთხვევაში ინსტრუმენტების საშუალო არითმეტიკულით):
- არანაკლებ 65%-ისა თეორიულ და ზოგად მოდულებში

8.5. ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში:
8.5.1.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შედეგი გადააბაროს მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;

8.5.2.განმეორებით ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს შედეგის გადაბარება შეუძლია მომდევნო ერთი კვირის ვადაში. (დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროს); - კვლავ ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ შედეგის/მოდულის დადასტურება წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს იმ მოდულის/მოდულების გავლას, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ვერ დადასტურებული მოდული და იგი ვალდებულია განმეორებით გაიაროს მოდული და მიიღოს შესაბამისი შეფასება.
8.5.3. წინამდებარე მუხლის 8.5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედეგის გადაბარებისთვის დანიშნულ დროს პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაბამის საგამოცდო უწყისში ფიქსირდება - ვერ დადასტურდა, და პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს 8.5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით.
8.5.4 წინამდებარე მუხლის 8.5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისთვის დანიშნულ დროში, 8.5.1 და 8.5.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, სტუდენტის გამოუცხადებლობა იწვევს ვერ დადასტურება შედეგის დაფიქსირებას და ამავე მუხლის პუნქტებით გათვალისწინებულ შედეგს.
8.5.5 წინამდებარე მუხლის 8.5.3 და 8.5.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწესებულების მიერ შესაძლოა დაშვებული იქნას გამონაკლისი შემთხვევები თუ გამოუცხადებლობა დაკავშირებულია სტუდენტის გამოუვალ მდგომარეობასთან, დადასტურებულია მტკიცებულებით და შეტყობინება დაწესებულებისათვის გაკეთებულია გადაბარებისთვის დანიშნულ დრომდე ან/და გადაბარების მსვლელობისას. ამასთან გადაბარების დასრულების შემდეგ მსგავსი გარემოების დაფიქსირება არ განიხილება გამონაკლის შემთხვევებად და დგება ზემოთაღნიშნული ქვეპუნქტებით გათვალისწინებული და ამავე მუხლის 6-8 პუნქტებით გათვალისწინებული შედეგები.
8.6. დაწესებულება ვალდებულია წინამდებარე მუხლის 8.5.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას პროფესიულ სტუდენტს გადაბარებისთვის დანიშნული თარიღის შესახებ აცნობოს არაუგვიანეს გამოცდამდე ერთი კვირით ადრე.
8.7. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს დაწესებულებას დასაბუთებული წერილობითი თხოვნით (ცხრილით გათვალისწინებული შესაძლებლობის ფარგლებში) დანიშნული თარიღის სხვა დროისთვის გადატანის შესახებ, დანიშნულ დრომდე არაუგვიანეს 05 დღისა.
8.8. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ დაადასტურებს რომელიმე მოდულს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს რომელიმე მომდევნო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წინაპირობას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოამზადოს მოდული და პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს შეფასების მიღება (გარდა პრაქტიკული მოდულისა).
8.9. მოდულის/შედეგის განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის მიერ - ვერ დადასტურება - შეფასების მიღება ნიშნავს, რომ იგი ვერ აღწევს აკადემიურ პროგრესს, რაც ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.(აღნიშნული არ ვრცელდება შშმ და სსსმ პროფესიულ

სტუდენტებზე).

8.10. მოდულის/შედეგის თეორიულ ნაწილში - ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობით გადააბაროს მოდული/შედეგი, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში იგივე შეფასების დაფიქსირება გულისხმობს მოდულის/შედეგის პედაგოგის დახმარებით განმეორებით გავლის ვალდებულებას, რომლისთვისაც დაწესებულების მიერ განისაზღვრება საფასური და იგი არ უნდა აღემატებოდეს პედაგოგის საათობრივ ანაზღაურებას.

8.11. პროფესიული სტუდენტის შეფასება ტარდება სხვადასხვა გარემოში: აუდიტორიაში, სამუშაო ადგილზე, სამუშაო ადგილის მსგავს სიმულაციურ ლაბორატორიაში.

8.12. პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: პროცესზე დაკვირვება; პროდუქტი /შედეგი; გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).

8.13. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით წამოაყენოს პრეტენზია, მისი გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და მოითხოვოს:

- წერილობითი ნამუშევრის შემთხვევაში მისი განხილვა და შეფასების შეცვლა,
- პრაქტიკული დავალების/შემთხვევის შესწავლის/სიმულაციის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემოწმება,
- შეფასების ინსტრუმენტად ზეპირი შეკითხვების გამოყენებით მიღებული შეფასების მიმართ პრეტენზია გამოიწვევს სასწავლო დეპარტამენტის მიერ დადგენილი შინაარსითა და მოცულობით შედეგის შეფასების პროცედურის განმეორებას.

8.14. სტუდენტის პრეტენზიის საფუძველზე შეფასების შედეგები, შეფასების ინსტრუმენტი და კრიტერიუმების გარჩევა მოხდება სასწავლო დეპარტამენტის, სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის მონაწილეობით, შესაძლებელია ყველა მონაწილის თანხმობით მოწვეული იქნას ნეიტრალური პირ(ებ)ი, როგორც სტუდენტის ასევე დაწესებულების მხრიდან.

8.15. შეფასებასთან დაკაშირებული პრეტენზიის განხილვის დროს ყველა დაუსაბუთებელი და მტკიცებულებით დაუდასტურებელი გარემოება უნდა გადაწყდეს სტუდენტის სასარგებლოდ.

8.16. სტუდენტის პრეტენზიასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პრეტენზიის დაკმაყოფილების ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

**მუხლი 9. სწავლის შედეგების დადასტურება / კვალიფიკაციის მინიჭება**

9.1. პროფესიულ კვალიფიკაციას, სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით ანიჭებს შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ერთჯერადი კომისია.
9.2. იმ შემთხვევაში თუ პროფესიულმა სტუდენტმა საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში ვერ შეძლო მოდულების დადასტურება და სათანადო კრედიტების მოპოვება (გადაბარებისა და მოდულის განმეორებითი გავლის შესაძლებლობის გამოყენების ჩათვლით), ან არ მიიღებს მონაწილეობას შუალედურ შეფასებაში მას ვერ მიენიჭება კვალიფიკაცია და კოლეჯი უფლებამოსილია გასცეს, მხოლოდ მის მიერ გავლილი და დადასტურებული მოდულების შესახებ ინფორმაცია.
9.3. პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის შესაბამისი კრედიტის მოპოვების, შუალედურ შეფასებაში მონაწილებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტს ენიჭება „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო განათლებაში“ .
9.4. საკვალიფიკაციო გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების სრულად დადასტურების, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემთხვევაში.
9.5. ინტეგრირებული, ღია/დახურული ტესტური ან პრაქტიკული დავალებებისაგან შემდგარი გამოცდა. ამასთან კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით პროფესიულმა სტუდენტმა საკვალიფიკაციო გამოცდაზე უნდა გადალახოს 75%-ანი ბარიერი.
9.6. 2022 წლის 09 აგვისტოს შემდეგ ამოქმედებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდა და მისი ორგანიზება რეგულირდება „საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების დებულებით“.
9.7. საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შესრულება ხორციელდება კოლეჯის „C” გარემოში, კომისიის წევრების თანდასწრებით.

**მუხლი 10. შეფასების პროცესის ადმინისტრირება**
10.1. შეფასების პროცესის დაწყების წინ პროფესიული მასწავლებელი ან სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შეფასების პროცესის დროს ქცევის წესებს და ატარებს ინსტრუქტაჟს.
10.2.ინსტრუქტაჟის მოსმენის შემდეგ ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ერთდროულად დაიწყება შეფასების დროის ათვლა.
10.3. შეფასების პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შეფასების პროცესზე:

ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს შეფასების დაწყების განსაზღვრულ დროს
ბ) თან იქონიოს: ავტოკალამი;
დ)შეასრულოს ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და მეთვალყურის ცალკეული მითითებანი.
10.4.შეფასების მსვლელობისას პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:
ა) მობილური ტელეფონის, ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
ბ) შეფასების პროცესის დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვ.
გამოყენება(გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს შეფასების წესით არის დაშვებული);
გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა პროფესიულ სტუდენტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
10.5. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება, ხოლო დარღვევის განმეორებისას მას განათავსებენ დანარჩენი სტუდენტებისგან განცალკევებით, ამ დებულებით გათვალისწინებული შეფასების პროცესის პირობების დაცვით ან მას დაატოვებინებენ შეფასების სივრცეს. გაფრთხილების გარეშე სტუდენტის შეფასებიდან მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ უხეში დარღვევის შემთხვევაში.
10.6. შეფასების დროის ამოწურვამდე მიცემული დავალების (ტესტი, პრაქტიკული დავალება)შესრულების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, დატოვოს შეფასების ადგილი;
10.7. თუ ფართი იძლევა ამის საშუალებას შესაძლოა რამდენიმე თეორული შეფასება(ტესტირება) ჩატარდეს ერთ სივრცეში.
10.8. განმეორებით შეფასებაზე დაშვება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მხრიდან შეფასების საფასურის გადახდას, რაც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;
10.9. განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება პირს ეძლევა ორჯერ, ორივეჯერ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს მოდული (საკუთარი ხარჯით).
10.10. განმეორებით შეფასებაზე იცვლება შეფასების ინსტრუმენტები.

**მუხლი 11. შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა და შეფასების მონიტორინგი**

11. 1. პროფესიული მასწავლებლის მიერ, შეფასების მტკიცებულებებზე დაყრდნობით და უწყისის შევსების შემდეგ პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობა შეფასების შედეგებს 3 სამუშაო დღის ვადაში სასწავლო დეპარტამენტის მიერ ან სტუდენტური

საინფორმაციო პლატფორმის მეშვეობით.

11. 2. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვებას, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოყენებული უნდა იქნას პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

**მუხლი 12. შუალედური შეფასების მიზანი, ორგანიზება და სამართლებრივი შედეგი**

12.1. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს;

12.2. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა სტუდენტისათვის სავალდებულოა;

12.3. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;

12.4. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;

12.5. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა;

12.6. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

12.7. სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება დაწესებულებაში დადგენილი ფორმით, დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს

ერთი კვირისა;

12.8.შუალედური შეფასების თემატიკა არ უნდა გასცდეს სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარებამდე გავლილ სწავლის შედეგებს;

12.9.შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;

12.10. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- თეორიული შეფასება;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- პროექტის პრეზენტაცია;
- სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
- სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

12.11. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯში არსებული წესით ან/და შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით;

12.12. სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;

12.13. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;

12.14. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;

12.15. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;

12.16. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა;

12.17. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

12.18. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

12.19. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

12.20. კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის

განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;

12.21. კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;

12.22. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს მიეწოდება უკუკავშირი

12.23. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;

12.24. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ამ წესით დადგენი პირობებითა და წესით მონაწილეობა მიიღოს განმეორებით შუალედურ შეფასებაში;

12.25. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;

12.26. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:

- ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას;
- სხვა ფორსმაჟორული გარემოება;

12.27. განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით, შუალედური შეფასების მიზნებიდან გამომდინარე გონივრულ ვადებში;

12.28. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებისა და საკვალიფიკავიო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილების შესახებ.

**მუხლი 13. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და სამართლებრივი შედეგი**

13.1. აღნიშნული წესის მიზანია უზრუნველყოს ერთიანი პროცედურით საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებადა ჩატარება.

13.2. საკვალიფიციო გამოცდის მიზნებია: განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და კვალიფიკაციის მინიჭება;

13..3. საგამოცდო თარიღი, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა და დამკვირვებლები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;

13.4. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი პირის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;
13..5. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;
13.6. კომისიაში სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდეს დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის კოლეჯის წარმომადგენელი;
13..7. კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს დირექტორს სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;
13.8. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა;
13.9. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
13.10. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;
13.11. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
13.12. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;
13.13. კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;
13.14. კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პირი/სამსახური;
13.15 საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა ამ (მეილი, ან შეხვედრა და სხვა) ფორმით;
13.16. ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება;
13.17. საჩივრის განხილვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სააპელაციო კომისია;
13.18. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის საჩივარი და მიიღოს ერთერთი გადაწყვეტილება:
ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ;
13..19. კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას საჩივრის შემოტანიდან ერთი თვის ვადაში;
13.20. პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის და/ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს განმეორებითი შეფასება, რომლის ვადები

განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (არა უმეტეს 10 დღისა)

13.21. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ოჯახის წევრის გარდაცვალება, პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით) - წინასწარი თხოვნა შუალედური და/ან საკვალიფიკაციო შეფასების თარიღის გადატანის თაობაზე ან სხვა ობიექტური გარემოება, რაც დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი ცნობით;

13.22. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება განცხადების წარდგენიდან ორი კვირის განმავლობაში.

13.23. განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი აღარ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე და არ მიენიჭება კვალიფიკაცია. მოთხოვნის შემთხვევაში, მასზე გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი გავლილი მოდულების შესახებ.

13.24. საგამოცდო პროცესის დამკვირვებელი ვალდებულია:

ა) გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე და აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;

ბ) უწყისში რეგისტრაციაში გაატაროს პროფესიული სტუდენტები და ხელმოწერით ან მონიშვნით დააფიქსირებინოს გამოცდაზე გამოცხადება;

გ) გამოცდის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტს გააცნოს საგამოცდო წესები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;

დ)პროფესიულ სტუდენტთა თვალწინ გახსნას დალუქული კონვერტი და დაარიგოს საგამოცდო ტესტები.

ე) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში;

ვ) გასცეს პასუხი პროფესიული სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს;

ზ) არ გასცეს პასუხი საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე;

თ) მკაცრად აკონტროლოს პროფესიული სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა, მათი დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს წინამდებარე წესის შესაბამისად;

ი) პროფესიული სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, ჩამოართვას საგამოცდო ფურცლები. საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს წარწერა – ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით;

კ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს პროფესიული სტუდენტები საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ;

ლ) გამოცდის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის

წევრებს;
მ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;
ნ) არ დატოვოს მისთვის განსაზღვრული სექტორი, გამოცდის დასრულებამდე.
13.25. პროფესიულ სტუდენტს უფლებები და აკრძალვები
პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს გამოცდისთვის სათანადო პირობები (სამუშაო სივრცე, განათება);
ბ) საგამოცდო ოთახში შეიტანოს სასმელი წყალი, საანგარიშო კალკულატორი;
გ) გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება გამოცდაზე აკრძალულია:
ა) საგამოცდო ნაწერის შესრულება იმ ფურცლებზე/საგამოცდო ფურცლებზე, რომელიც დამკვირვებელს არ დაურიგებია;
ბ) საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ საგამოცდო სივრცის დატოვება წერის სრულად დამთავრებამდე, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა;
გ) გამოცდის პროცესის დროს საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება (აღნიშნულ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);
დ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა;
ე) მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;
ვ) სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;
ზ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში;
თ) სხვა პროფესიული სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;
ი) სხვა პირის დახმარება, სხვა პროფესიული სტუდენტისგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;
კ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;
ლ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით.
13.26. პროფესიული სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლებია:
ა) პროფესიული სტუდენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან, თუ აღმოჩენილ იქნება ლექსიკონი, გამოცდაზე დაუშვებელი წერილობითი ჩანაწერი მობილური ტელეფონი, აიპადი, დამხმარე მასალა (გარდა ნებადართული შემთხვევისა), ან სხვა ელექტრონული

ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფა, ან სხვა მსგავსი შემთხვევა;
გ) გამოცდაზე გამოცხადება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდაზე გამოცხადება.
13.27. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას პროფესიული სტუდენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას პროფესიული სტუდენტი.
13.28. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.
13.29. გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი:
ა) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს;
ბ) საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, დარგის სპეციალისტი, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი, ან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი;
გ) კოლეჯი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს;
დ) კომისიას უფლება აქვს ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დატოვოს იგივე შეფასება, ან დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი ქულა;
ე) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
ვ) პროფესიულ სტუდენტს გადაწყვეტილება ეცნობება იმავე დღეს.

**მუხლი 14. შეფასების შედეგების გაპროტესტება/აპელაცია**

14.1. სწავლის შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად 1 სამუშაო დღის ვადაში.

14.2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი საჩივარი წარადგინოს დირექტორის სახელზე, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა იმ შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების პროცესში, იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს.
14.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 1 სამუშაო დღის ვადაში.
14.4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, დირექციის დავალებით შესაბამისი ნაშრომის შეფასება დაევალება კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს.
14.5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.
14.6. გასაჩივრების დაკმაყოფილების და პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში, რისთვისაც წერს სამსახურებრივ ბარათს დირექტორის სახელზე.
14.7. გასაჩივრების შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 15. შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების შედეგების გასაჩივრება**

15.1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაუშვეს შუალედურ შეფასებაზე ან რომელსაც არ მისცეს გაცდენილი შუალედური შეფასების აღდგენის უფლება, უფლებამოსილია, არაუგვიანეს შეფასების თარიღიდან 7 დღისა დასაბუთებული პრეტენზიით, წერილობითი ფორმით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
15.2. პროფესიული სტუდენტის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა ადმინისტრირების ჯგუფი აპელაციის თარიღს აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონისნომერზე/ელ. ფოსტაზე).
15.3. დირექტორი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, შექმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდეს იმ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, იმ შემთხვევაში თუ რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას გადის პროფესიული სტუდენტი.

15.4. სააპელაციო კომისიას თავმჯდომარეობს კოლეჯის დირექტორი.

15.5. სააპელაციო კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის წევრი.

15.6. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის საფუძველზე.

15.7. სააპელაციო კომისია დანიშნავს განმეორებითი შუალედური და ან საკვალიფიკაციო შეფასების ახალ თარიღს, თუ მიიჩნევს, რომ არსებითად დაირღვა ამ წესით გათვალისწინებული პროცედურა.

15.8. განმეორებითი შეფასება ინიშნება ამ წესით დადგენილ ვადაში.

15.9. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

**მუხლი 16. შეფასების უწყისის წარმოების წესი**

16.1. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივისაექთნო კოლეჯი (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის (შემდგომში უწყისი) წარმოების წესის მიზანია სასწავლო პროცესის გამჭვირვალობისა და ხარისხის გაუმჯობესება

16.2. აღნიშნული დოკუმენტი ეხება პროფესიულ პროგრამის ,,საექთნო განათლება“ თეორიულ და პრაქტიკულ მოდულებს.

16.3. კოლეჯში მოქმედი უწყისის ფორმები დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1 -ის ; N2-ის; N3-ისა და N4-ის შესაბამისად;

16.4. დანართი N1 -ის უწყისის წარმოებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი თეორიული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;

16.5. თითოეული სასწავლო წლის ბოლოს სასწავლო დეპარტამენტი ადგენს ამ წესის დანართი N 2 -ის შესაბამისად განვლილი თეორიული მოდულების უწყისს თითოეული სტუდენტისათვის.

16.6. დანართი N1- ზ ე სასწავლო დეპარტამენტის მიერ ბეჭდის დასმით დასტურდება უწყისში მოცემული ინფორმაციის სისწორე;

16.7. პროფესიული მასწავლებელი უწყისს ადგენს შესაბამისი მოდულის დასრულებიდან ( გადაბარება 2-ის ჩათვლით) არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში.

16.8. შესაბამისი თეორიული მოდულის პროფესიული მასწავლებელი ადგენს უწყისს ამ წესის დანართი N 1-ის შესაბამისად.

უწყისი დგება ინდივიდუალურად თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე და მასში მიეთითება ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სახელწოდების შესახებ, კრედიტების რაოდენობა, ს/შ N, შ/კ N, შეფასების თარიღი, შემფასებელი, ინსტრუმენტი, მტკიცებულება, სწავლის შედეგების დადასტურება/ვერ დადასტურება, უწყისის შედგენის თარიღის შესახებ;

16.9. პროფესიული მასწავლებელი თეორიული მოდულის დასრულებიდან (გადაბარება 2-ის ჩათვლით) არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა, შევსებულ უწყისებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტს, რომელიც თავისმხრივ ახორციელებს მის დამოწმებას და სათანდო წესით შენახვას.

16.10. **პრაქტიკული მოდულისთვის** კოლეჯში მოქმედი უწყისის ფორმები დამტკიცებულია ამ წესის დანართი N3 -ისა და N4-ის შესაბამისად;

16.11. დანართი N3 -ის უწყისის წარმოებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მოდულის კლინიკური/შემაჯამებელი კომპონენტის განმახორცირლებელი;

16.12. კლინიკური/შემაჯამებელი კომპონენტის განმახორცირლებელი ადგენს თითოეული სტუდენტისთვის უწყისს;

16.12. დანართი N3- ზ ე სასწავლო დეპარტამენტის მიერ ბეჭდის დასმით დასტურდება უწყისში მოცემული ინფორმაციის სისწორე;

16.13. კლინიკური/შემაჯამებელი კომპონენტის განმახორცირლებელი უწყისს ადგენს შესაბამისი პრაქტიკული მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში.

16.14. თითოეული სასწავლო წლის ბოლოს სასწავლო დეპარტამენტი - სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ადგენს ამ წესის დანართი N 4 -ის შესაბამისად განვლილი კლინიკური/შემაჯამებელი კომპონენტის უწყისს თითოეული სტუდენტისათვის.

16.15. შესაბამისი პრაქტიკული მოდულის კლინიკური/შემაჯამებელი კომპონენტის განმახორცირლებელი ადგენს უწყისს ამ წესის დანართი N 3-ის შესაბამისად. უწყისი დგება ინდივიდუალურად თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე და მასში მიეთითება ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სახელწოდების შესახებ, კრედიტების რაოდენობა, ს/შ N, შ/კ N, შეფასების თარიღი, შემფასებელი, ინსტრუმენტი, მტკიცებულება, სწავლის შედეგების დადასტურება/ვერ დადასტურება, უწყისის შევსების თარიღი.

16.16. შესაბამისი პრაქტიკული მოდულის კლინიკური/შემაჯამებელი კომპონენტის განმახორცირლებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა, შევსებულ უწყისებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტს- სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც ახორციელებს თითოეულ უწყისზე ბეჭდის დასმას;

16.17. უწყისები ინახება სასწავლო დეპარტამენტის მიერ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე, რის შემდეგაც სასწავლო დეპარტამენტი უწყისების შენახვას უზრუნველყოფს უვადოდ.

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**მუხლი 17. შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვა**

17.1. შეგროვებული მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში.

17.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია - შეფასების მტკიცებულებები, ინახება სასწავლებელში შეფასების განხორციელებიდან სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

17.3. შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ გასანადგურებელი დოკუმენტები ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესაბამისად;

17.4. პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს, სასწავლო დეპარტამენტი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით.

**მუხლი 18. ვერიფიკაციის პროცესი**

18.1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი, როგორიცაა დარგის ექსპერტები, რადგანაც ვერიფიკაცია შინაარსობრივ ნაწილში დარგობრივ კომპეტენციას მოითხოვს. ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება დაწესებულების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, პროფესიული მასწავლებლების დახმარებას, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებას.

18.2. პსდ-ში შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- პროცესის ვერიფიკაცია
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია

18.3 ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

- **ვალიდურობა** - ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი და შეფასება ვალიდურია, თუ:

- პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების პროცესი დაგეგმილია შეფასების მიზნის შესაბამისად,
- შეფასების ინსტრუმენტები სწორად არის შერჩეული, შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).
- პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.
- საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიიღოს სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

- **სანდოობა** - შეფასება სანდოა თუ:

- შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
- გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები
- ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიიღოს სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

- **გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას**

- ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.
- მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.
- სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.

- შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

## მუხლი 19. ვერიფიკაციის ჯგუფი

19.1 ვერიფიკაცია დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის უზრუნველყოფის მექანიზმია.
19.2 ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას.
19.3 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უფლებამოსილია ვერიფიკაციის პროცესის განსახორციელებლად შექმნას ვერიფიკაციის ჯგუფი და მისი შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ:

- დარგის ექსპერტი
- პროფესიული განათლების მასწავლებელი
- მოწვეული პირი
- პრაქტიკული სწავლების ბაზის წარმომადგენელი
- მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი
- სხვა კომპეტენტური პირი, ინტერესთა კონფლიქტის, გამორიცხვის პრინციპით

19.4 ვერიფიკაციის ჯგუფი იქმნება, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათით მიმართვის საფუძველზე, გამოცემული კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
19.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფარგლებში კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს.
19.6. პროცესი უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში არ უნდა შევიდეს პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა
19.7. ვერიფიკაცია ხდება შერჩევით, მაგალითად ერთი და იმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20%, ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში - აღნიშნული მტკიცებულებები სრულად ფასდება, რის შემდეგაც განისაზღვრება შემდგომი

რეაგირების მექანიზმები.

19.8. შიდა შემმოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) უნდა შეინახონ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები;

19.9. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს, როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს, ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი;

19.10.ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში, განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, როგორც დაინტერესებულ პროფესიულ მასწავლებლებს, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სხვა.

**მუხლი 20. ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრა**

20.1. ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორებად შესაძლოა განისაზღვროს:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- შესაფასებელი პირების დაბალი შეფასებები
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შევსებული კითხვარები;
- სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარები;
- პროფესიული მასწავლებლებისგან მიღებული წერილობითი უკუკავშირები
- ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ რისკ ფაქტორად მიჩნეული სხვა საკითხი.

20.2 ვერიფიკაციის ჯგუფი პროცესის განხორციელებას იწყებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შემუშავებული გეგმისა და 20.1 პუნქტში მითითებული რისკ ფაქტორების შესაბამისად; შესაძლოა შეარჩიოს ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების, დაბალი ან საშუალო რისკების ჯგუფები შესაფასებლად, რომლისთვისაც უნდა გამოიყენოს ქვემოთ მოცემული სქემა

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**სქემა**

| გარემოება-რისკ ფაქტორი | რას იწვევს გარემოება შესაძლო რისკი | კოეფიციენტი | განმარტება |
|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3<br>4 | ვერიფიკაციის ჯგუფის მოსაზრებები | • დაბალი - 1 ქულა,<br>• საშუალო - 2 ქულა,<br>• მაღალი 3 ქულა,<br>• კრიტიკული 4 ქულა. | გარემოებები დაყოფილია შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებად, მათ მიენიჭებათ ქულები: |

20.3 ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შერჩეული რისკ ფაქტორის შეფასებისათვის გამოიყენება - შემთხვევითობის პრინციპი, კერძოდ შეირჩევა მოდულში შემავალი ინსტრუმენტების 20%. იმ შემთხვევაში თუ პრობლემატური აღმოჩნდება შესაფასებელ ინსტრუმენტთა უმრავლესობა და გამიკვეთება დარღვევები, ჯგუფი შეისწავლის ყველა ინსტრუმენტს .

**მუხლი 21. ვერიფიკაციის შედეგების შესახებ დასკვნა**

21. 1 ვერიფიკაციის ჯგუფი, პროცესის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას, მიგნებების, რეკომენდაციების, დადებითი და გსაუმჯობესებელი/ცვლილებების საჭიროების მითითებით;
21.2 დაწესებულება ვერიფიკაციის დასკვნისა და დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ასახავს ვერიფიკაციის დასკვნაში მითითებული გამოწვევების აღმოფხვრისთვის განსახორციელებელ აქტივობას, განხორციელების ვადების, შესრულების ინდიკატორებისა და საჭირო რესურსების მითითებით;
21.3 ვერიფიკაციის დასკვნა და 21.2 პუნქტით გათვალისიწნებული სამოქმედო გეგმა, შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი ან დარჩეს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმად კონკრეტული მასწავლებელის ან მოდულის ფარგლებში; ამასთან აღნიშნული გადაწუვეტილება დამოკიდებულია ვერიფიკაციის დასკვნის შინაარსზე, გამოწვევების მსშტაბურობასა და სისტემურობაზე.
21.4 უკუკავშირისათვის ვერიფიკაციის დასკვნა, მის საფუძველზე მომზადებული სამოქმედო გეგმა ეცნობება, ადმინისტრაციის, შესრულების მონიტორინგში ჩართულ და სხვა დაინტერესებულ პირებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**მუხლი 22. სამოქმედო გეგმა, მონიტორინგი**

22.1 დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მახრეებმა უნდა შეიმუშავონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, შექმნან სამოქმედო გეგმა. თუ საჭიროა უნდა წარადგინონ ინიცირება რეგულაციებშიც ცვლილებების შეტანის შესახებ.
22.2 პსდ-მ ვერიფიკაციის დასკვნისა და დასკვნის განხილვის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს ასახული ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში წარმოდგენილი პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს:
• აქტივობების განხორციელების ვადები,
•შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.
22.3 პსდ უფლებამოსილია გადაწყვიტოს აღნიშნული სამოქმედო გეგმა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი თუ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმად ჩამოყალიბდეს კონკრეტული მასწავლებელს ან მოდულისათვის.
22.4 პსდ-მ უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგი.
22.5 პსდ-მ უკუკავშირისათვის ვერიფიკაციის დასკვნა და სამოქმედო გეგმა უნდა გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს.
22.6 სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მხარეებისათვის გაცნობის დრო 5 სამუშაო დღე

**მუხლი 23. დასკვნითი დებულება**

23.1 წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**დანართი N 1**

**შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი**
**პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი**
სტუდენტის გვარი, სახელი:
მოდული:
კრედიტების რ-ბა:

| ს/შ N | შ/კ N | შეფასების თარიღი | შემფასებელი | ინსტრუმენტი | მტკიცებულება | შედეგი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

მტკიცებულებათა შენახვის ადგილი: სტუდენტის პორტფოლიო

**უწყისის შევსების თარიღი**

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**დანართი N 2**

**შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი**

**პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი**
სტუდენტის გვარი, სახელი:

| მოდული | კრედიტების რ-ბა | ს/შ N | შ/კ N | შეფასების თარიღი | შემფასებელი | ინსტრუმენტი | მტკიცებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

მტკიცებულებათა შენახვის ადგილი: სტუდენტის პორტფოლიო

**უწყისის შევსების თარიღი**

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**დანართი N 3**

**შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი**

**პროფესიული სტუდენტის  შეფასების უწყისი**

სტუდენტის გვარი, სახელი:

მოდული:

კრედიტების რ-ზა:

| ს/შ N | შ/კ N | შემფასებელი | ინსტრუმენტი | მტკიცებულება | შედეგი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |

მტკიცებულებათა შენახვის ადგილი: სტუდენტის პორტფოლიო

**უწყისის შევსების თარიღი**

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**დანართი N 4**

**შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი**

**პროფესიული სტუდენტის  შეფასების უწყისი**

სტუდენტის გვარი, სახელი:

| მოდული | კრედიტების რ-ბა | ს/შ N | შ/კ N | შეფასების თარიღი | შემფასებელი | ინსტრუმენტი | მტკიცებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

მტკიცებულებათა შენახვის ადგილი: სტუდენტის პორტფოლიო

**უწყისის შევსების თარიღი**

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**დანართი N5**

**შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის**

ვერიფიკაციის დასკვნა
მოდული/სწავლის შედეგი ---------------------------------
შემფასებელი -------------------------------------
შეფასების პერიოდი-------------------------------------
ვერიფიკატორი ----------------------
ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი ---------------

| სისტემის ნაწილი | შემოწმების მიდგომა | ინდიკატორი | დიახ/ არა | მტკიცებულება არას შემთხვევაში | რეკომ ენდაც ია |
|---|---|---|---|---|---|
| ვალიდურობა | | | | | |

შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეფასების ინსტრუმენტი | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ | შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი | | | |

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით | | | |

სანდოობა

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეფასების მტკიცებულება | მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ | ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება | | | |
| | მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ | მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება | | | |
| | მტკიცებულებათა შესწავლა დარგის | მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება | | | |

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ყველა კრიტერიუმს შეესაბამება | | | |
| | მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ | მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო | | | |
| გამჭვირვალეობა<br><br>შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის | | | | | |
| შეფასების პროცესი | შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) | რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება, | წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი | | | |
| | სხვა მტკიცებულება | მტკიცებულება | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | შეფასებული პირის ინტერვიურება | წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს ) | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება | წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება | რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება | | | |

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

სამართლიანობა

შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

| შეფასების პროცესი | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა | შეფასებისათვის გამოყოფილი დრო | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | საკმარისია | | | |
| | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი | | | |
| | შეფასების ინსტრუმენტის | შეფასებისათვის გათვალისწინებულია | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა | | | |
| | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება | შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით | | | |
| | შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში). | | | | |

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

| ობიექტურობა<br><br>შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეფასების პროცესი | შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა | ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული | | | |
| | | სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული | | | |

დანართი N1

დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N167 ბრძანებით

**დანართი 6**

**შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი**

სარეკომენდაციო საკითხები ვერიფიკაციის ჯგუფისაგან შეფასების ინსტრუმენტის
შექმნისთვის

- შეფასების ინსტრუმენტში განსაზღვრეთ ადეკვატური დრო
- შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ
- დავალებების შინაარსმა უნდა დაფაროს სრულად სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები
- ტესტს აუცილებლად უნდა ახლდეს დავალებების სწორი პასუხები (ე.წ. ტესტის გასაღები);
- ტესტი უნდა იყოს საშუალო სიძლიერისა, დაავალებების ფორმულირება და პასუხის ვარიანტები არ უნდა იმეორებდეს პასუხს.
- ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას;
- ინსტრუმენტებში მიუთითეთ შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები
- დაკვირვების ფურცელმა სათანადოდ უნდა დაფაროს პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების ფლობის დონე
- დავალები ცალსახად უნდა დადგინდეს შინაარსის შესაბამისობა მოდულის სწავლის შედეგსა და კრიტერიუმებთან;
- და სხვა